

მეორე ტენდერი: როგორ შეასრულა “შეუსრულებელი მისია” “ილი ჯგუფმა”

ტენდერის შეწყვეტის შემდეგ რუსთავის მერიამ ხელახლა გამოცხადებულ 700 ათასი ლარის მოცულობის ტენდერში რამდენიმე პირობა შეცვალა:

1. დააკონკრეტა იმ მისამართების ჩამონათვალი, სადაც ფართები უნდა ჰქონოდა პრეტენდენტს, დააზუსტა მისამართები ქუჩის კონკრეტული ნომრების მითითებით.
2. მისამართების ჩამონათვალიდან, სადაც პრეტენდენტს სასადილოს ფართები უნდა ჰქონოდა, ამოიღო ქუჩიშვილის ქუჩა. ქუჩიშვილის ქუჩაზე ჰქონდა „ილის“ მთავარ კონკურენტს, კომპანია „ალიონს“ 4 სასადილოდან ერთ-ერთი მოწყობილი.

„ეს იყო ცალსახა მორგება და მცდელობა, რომ არ მიმეღო მონაწილეობა ახალ ტენდერში. მაინცდამაინც ის ქუჩა ამოიღეს, სადაც მე მქონდა სასადილო“, - თეონა ჯავახიშვილი, შპს „ალიონი“

3. წელს ასევე მოითხოვეს სურსათის უვნებლობის სერტიფიკატი. „ახალ ფართზე სერტიფიკატის სწრაფად მოპოვებაც ჩემთვის დროში გაწეილ პროცედურებთან იყო დაკავშირებული, ამით შემიშლიდნენ ხელს, თუ “ილიზე” დაბალი ფასი მექნებოდა“, - თეონა ჯავახიშვილი, შპს „ალიონი“

მეორე ტენდერის პირობების „ილი ჯგუფზე“ მორგებაზე რადიო თავისუფლებას მერის მაშინდელი მოადგილე ირმა მესხიცი ესაუბრა:

„მეორე ტენდერი რომ გამოცხადდა, იქ უკვე ცალსახად ჩანდა, რომ პირდაპირ ერგებოდა ტენდერის პირობები “ილი ჯგუფს”, იმიტომ რომ, დაუკონკრეტეს მისამართები და დაუკონკრეტეს ფართები, რისი უფლებაც ფაქტობრივად ჩვენ არ გვქონდა. მე კონსულტაცია გავიარე სააგენტოში (იგულისხმება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - რ.თ.), მათ ჩაწერეს იმ ფართების მისამართები, რომელიც “ილი ჯგუფს” წინა ტენდერში ჰქონდა წარდგენილი. მოარგეს “ილი ჯგუფს”, მე ამაზეც წინააღმდეგი წავედი და დავაფიქსირე ჩემი აზრი. მაინც რომ შედგა ეს ტენდერი და გაიმარჯვა “ილი ჯგუფმა”, მე უკვე ოფიციალურად მივწერე ქალაქის მერს, რომ დელეგირებული უფლებამოსილება მოეხსნა ჩემთვის და თვითონ მოეწერათ ხელი...“

ფასმა ძალიან დაიწია, ხომ ხვდებით, ის ვერაფრით ვერ უზრუნველყოფდა იმ სრულფასოვანი საკვების მიწოდებას, გარდა ამისა, პირობებიც არ აკმაყოფილებდა სტანდარტებს და იმიტომ ეს პასუხისმგებლობა მოვიხსენი. ამ წერილის მიწერა და, რეალურად დაახლოებით 10 დღეში გადაწყვეტილების მიღებამაც არ დააყოვნა, პრაქტიკულად ამას მოჰყვა ჩემი გათავისუფლება“, - უთხრა რადიო თავისუფლებას ირმა მესხმა.

მისი მოადგილეობიდან გათავისუფლება მედიასთან ასე [ახსნა](#) რუსთავის მაშინდელმა მერმა: „მერის მოადგილეობა არის პოლიტიკური თანამდებობა და მივიღე პოლიტიკური გადაწყვეტილება“.

მეორე ტენდერში „ილი ჯგუფმა“ ფასი დაახლოებით 1.43 თეთრი დააფიქსირა, რაც ბევრად დაბალი იყო ტენდერის სავარაუდო ფასზე და, კანონით, ექსპერტიზას საჭიროებდა.

ექსპერტიზას უნდა დაედგინა, მართლაც შესაძლებელი იყო თუ არა ამ ფასში ბენეფიციარების საკვების შეძენა, სასადილოების ფართების და პერსონალის დაქირავება, გადასახადების გადახდა და ა.შ.

„ილიმ“ მერიაში სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა წარადგინა, რაც კონკურენტმა დავების საბჭოში გაასაჩივრა. საბჭომ საჩივარი

დააკმაყოფილა, გადაწყვეტილებაში დაწერა, რომ სამხარაულის დასკვნა ორაზროვანია და დაზუსტებას საჭიროებს, საბჭომ იქვე დაწერა, რომ „ილის“ ტენდერის ამ ეტაპზე დაზუსტების უფლება კანონით აღარ ჰქონდა.

რუსთავის მერიის სატენდერო კომისიამ, ნაცვლად იმისა, რომ „ილის“ დისკვალიფიკაცია მოეხდინა და მომდევნო პრეტენდენტზე გადასულიყო, თავად იზრუნა „ილის“ ინტერესებზე, თავად დააზუსტა ინფორმაცია. რუსთავის მაშინდელმა მერმა წერილი გაუგზავნა სამხარაულის ბიუროს და ჰკითხა, ამ ფასებში შეძლებდა თუ არა „ილი“ ბენეფიციარების ხარისხიანად გამოკვებას.

ბიურომ ისე, რომ დამატებითი კვლევა აღარ ჩაუტარებია, „ილის“ სასარგებლო წერილი გამოაგზავნა.

რადიო თავისუფლებამ შეისწავლა სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნიდან ირკვევა, რომ შეფასებისთვის, სამხარაულის ბიურომ თავად „ილი ჯგუფის“ მიერ წარდგენილი ორი ტიპის დოკუმენტი გამოიყენა - პირველი, „ილის“ თბილისის უფასო სასადილოების კონტრაქტები, და მეორე, დოკუმენტები, სადაც „ილის“ მიერ პროდუქტის შეძენა და მათი ფასია მითითებული.

სამხარაულის ბიურომ დაასკვნა, რომ რაკი „ილი“ თბილისის ტენდერებში 1 ბენეფიციარს 1.27 და 1.30 ლარად კვებავდა, ამას რუსთავშიც შეძლებდა. ეს შედარება არარელევანტურია, რადგან რუსთავის მენიუ უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე თბილისის, მაგალითად, თბილისში კვირაში მხოლოდ 2 დღეა ხორცი, რუსთავში - 3 დღე ხორცი, მეოთხე დღეს თევზია, რაც თბილისში არ არის.

თბილისში 1 ბენეფიციარზე დღეში 250 გრამი პურია, რუსთავში - 400, პლუს კვირაში 3 დღე - ფუნთუშა. ტენდერების დოკუმენტაციის შესწავლით, პურ-ფუნთუშეულის ფასი სასადილოების კვების დაახლოებით მეოთხედს შეადგენს და მისი მოცულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთო თანხაზე.

3 განსხვავება მენიუში



თბილისი



რუსთავი



სამხარაულის ბიურომ შედარებისთვის გამოიყენა „ილის“ 2018-19-20 წლების ტენდერები,

ექსპერტიზამ არც ინფლაცია და პროდუქტების გაძვირება გაითვალისწინა, არც მენიუებს შორის განსხვავება და ფაქტობრივად სარწმუნოდ მიიღო, რომ „ილი“ საქონლის ფარშს 9 ლარად და 50 თეთრად იყიდდა, 1 კგ პურს - 1 ლარად, არადა, ბაზარზე ასეთი ფასები დღეს აღარ არის. ექსპერტებმა პურის ფასზე ერთ-ერთ მტკიცებულებად გამოიყენეს „ილის“ წარდგენილი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია „ლუკა 2005“-ის მიერ, ანუ იმ კომპანიის, რომელიც „ილის“ მეპატრონეების დაფუძნებულია.